საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 21 ნოემბერი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/06

მანანა კორძაიასათვის სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდების დაწესებისა და საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 01 მარტის №04-01/27 დადგენილებისა და ბხსუ-ს რექტორის წარდგინების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მუსიკისმცოდნე მანანა კორძაიას მიენიჭოს საპატიო უნივერსიტეტელის წოდება.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**